ივნისი 2023

# საინფორმაციო ბიულეტენი

## DRI-ის საქმიანობა

- DRI: მშვიდობიანი პროტესტის დროს აქციის მონაწილეთა დაკავება საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ღირებულებებს
- DRI: რუსული „რბილი ძალა" კვლავ აქტიურობს - გალის სოფლებში სოციალური დახმარება კრასნოდარის ოლქიდან ჩაიტანეს
- რუსეთთან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა - პროკრემლისტური ჯგუფების ფინანსური სარგებელი
- რუსეთი აგრძელებს აფხაზეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სრულად დაფინანსებას
- ხელისუფლება ძალადობრივ ჯგუფებს ახალისებს
- მაღაროელების შრომის უფლებების დაცვა საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა
- საპარლამენტო ზედამხედველობა უსაფრთხოების ინსტიტუტებზე ხარვეზიანია
- გალში რუსული პროპაგანდა ძალას იკრებს
- ბექა გრიგორიადისის დაჯარიმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას ეწინააღმდეგება და გამოხატვის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას წარმოადგენს
- DRI: ახალგორის სკოლებში ცხინვალის უშიშროების სამსახურმა ჩხრეკა ჩაატარა

## DRI-ის კოალიციური საქმიანობა

**უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში და მისი გავლენა საქართველოზე - ერთი წელი ევროპული პერსპექტივიდან**

15 ივნისს, სამმა ორგანიზაციამ - „სამოქალაქო იდეა", „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი" (DRI) და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველო" გამართა კონფერენცია „უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში და მისი გავლენა საქართველოზე - ერთი წელი ევროპული პერსპექტივიდან".

**სტატუსმეტრი - როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ**

9 საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მოამზადა რიგით მეოთხე შეფასების დოკუმენტი – სტატუსმეტრი, რომელიც ევროკომისიის მიერ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად განსაზღვრული 12 პირობის შესრულების მდგომარეობას ასახავს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, მოცემულ პერიოდში, სრულად არის შესრულებული ერთი პირობა; მეტწილად შესრულებულია ორი პირობა; ნაწილობრივ შესრულებულია ხუთი პირობა და შესასრულებელია ევროკავშირის ოთხი პირობა.










**სამოქალაქო საზოგადოება საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას ეხმიანება**

ვგმობთ GLOBSEC-ის ფორუმზე, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც იმეორებს კრემლის პოზიციას და უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის უსამართლო შეჭრის მიზეზად უკრაინის ნატოში გაერთიანების სურვილს მიიჩნევს.